ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 12

ქ. ლანჩხუთი

27.11.2023 წელი
11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე.

კომისიის წევრები: კარლო კვიტაიშვილი, ვლადიმერ ნანაძე, გიორგი იმნაიშვილი, გიორგი ჩახვაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: კახაბერ ასკურავა, გივი ცინცაძე, გოჩა ჯანაშია, ალექსანდრე მახათაძე.

კომისიის თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)-იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.
მომხრე 5; წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)-იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის

მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა ვარდენ კვაჭაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიმდინარე წელს, წერილობით მომართა, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის“ (ს/კ 433650462), დირექტორმა ზაალ სანაძემ, რომელმაც ა(იპ)ის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, (გოგონათა ასაკობრივი საფეხბურთო გუნდის სავარჯიშოდ) მისი არსებობის ვადით, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, მუსხელიშვილის ქუჩა N15 ა-ში მდებარე 6920.00 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.06.57.191) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

ამით კომისიამ სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **/ ზაზა წულაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №12

27.11.2023 წელი
11.00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 27 ნოემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)-იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)-იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ზაზა წულაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

27.11. 2023 წელი
11:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ზაზა წულაძე	10^{55}	[signature]
2	ალექსანდრე მახათაძე	არ ესწრებოდა	[signature]
3	კარლო კვიტაიშვილი	10^{55}	[signature]
4	გიორგი იმნაიშვილი	10^{55}	[signature]
5	ვლადიმერ ნანაძე	10^{55}	[signature]
6	გიორგი ჩახვაძე	10^{55}	[signature]
7	გივი ცინცაძე	არ ესწრებოდა	[signature]
8	კახაბერ ასკურავა	არ ესწრებოდა	[signature]
9	გოჩა ჯანაშია	არ ესწრებოდა	[signature]